5721
1974/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

1974 მაისი N5

ბავშვი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საპირველმაისო

ანდრო თევზაძე

შორეულად ვსხსავ ზამთარს
და ვისსენებ თოვლზე სრიალს:—
გამარჯობა, გაზაფხულო,
— დღეს პირველი მაისია!

ჩამოწერე, თუ კაცი სარ,
ევაკილების მთელი სია,
უნდა მოვრთო ჩვენი სახლი,
— დღეს პირველი მაისია!

დიდ სამშობლოს ვუთხრათ ვაშა,
თავისუფალს, გამრჯეს, სვიანს,
რომ მისი მზე კვლავ კაშკაშებს,
— დღეს პირველი მაისია!

სალხის წინსვლას ხედავს მტერი,
გული ბოღმით გაისივა,
ჩვენ კი ლაღად მივიმღერით:
— დღეს პირველი მაისია!..

ᲬᲘᲜᲓᲔᲑᲘ

ᲜᲘᲜᲝ ᲑᲔᲖᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ნახატები ᲚᲔᲕᲐᲠᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐᲡᲘ

ხვიდან პატარა ბილიკს აივლი და ძეძვის ჯაგებით მოფენილ მინდორში გახვალ. ზემოთ ათასნაირი ბარდია: მაყვალი, ღიჭი, ასკილი, ერთმანეთშია ჩახლართული. ძეძვის ჯაგები კი ცალ-ცალკე დგანან და ზედ წვიმისაგან გაქათქათებული მატყლის ფთილები ფრიალებენ. ასე იყო წინათაც. ჩვენებური ბიჭები იქ ცხვრებს აძოვებდნენ. ცხვრები ჯაგებს ედებოდნენ და ეკლებზე ბღუჯა-ბღუჯა მატყლს ტოვებდნენ. მე და ჩემი მეზობელი გოგონებიც ხშირად მივდიოდით იქით. ძეძვის ძირებში ქალის იებსა და ცისთვალებს ვკრეფდით.

ერთხელ კი უფრო შორს წავედით, ასკილის დაკრეფა გვინდოდა.

კარგი ამინდი იდგა. ზემოთ აშვერილი ასკილის ნაყოფით დახუნძლული ტოტები შემოდგომის მზეში წითლად ღუოდა. ტოტებს კავით ვიწვდიდით, ვკრეფდით, კალათებში ვყრიდით. ერთი ჩვენი ამხანაგი კი ასკილს ზედაც არ უყურებდა, ძეძვებში დაძვრებოდა და ეკლებში ჩაუედილ მატყლს თითებით წიწკნიდა.

„რად გინდა, გო, მატყლი, რისთვის აგროვებო“,—შევეკითხეთ გოგონას.

„რად მინდა და, ჩემს დედოფალას ქუდი უნდა მოვუქსოვო“.

გოგონას აზრი ძალიან მოგვეწონა. უცბად ჩვენც მოგვინდა, რომ მოგვექსოვა რამე ჩვენი თოჯინისათვის, გავანებეთ თავი ასკილის ბუჩქებს და ახლა ძეძვის ჯაგებს შევეხიენით.

როცა მატყლით კაბის ჯიბეები ავივსეთ, ბარდში შემალულ შვინდს თითო ტოტი შევატეხეთ და წამოვედით.

შვინდის ტოტები გავსხიპეთ, ბოლოები დანით წავუთალეთ, კვირისტავად კი ტაბაკა ლეღვის კაკრა გავუკეთეთ, თითისტარი იყო და თითისტარი“.

მატყლი ცოტა გავწეწეთ, გავასუფთავეთ, ხელებით ფაროების ფორმა მივეცით, მერე მეუღროზე მოვიკეცეთ და საქმეს შევუდექით.

ვართავთ; ერთი ხელით ფარო გვაქვს ზემოთ ატანილი, მეორე ხელით ტარს ვაბზრიალებთ კალთაში. შეგრეხილ ძაფს ავაყოლებთ თვალს, ჩამოვაყოლებთ, ავაყოლებთ, ჩამოვაყოლებთ, ვცდილობთ [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] ბიბ. ლიბ. თეკა

თულს ცოტათი მაინც მივამსგავსოთ. ტრიალებენ, ბზრიალებენ „თითისტრები“ და უცბად მარია ძალო არ მოვიდა! სხვისთვის არაფერი არ უთქვამს, თავის შვილს ეცა გაბრაზებული.

— შე გასაწყალებელო, შე სანაცილე, ძლივს მოვიცალე და გასამზეურებლად გავფინე გარეთ მატყული, ვიფიქრე, სხვა ქალებიც მოიტანენ, დავსხდებით და ,ომში წასულ ბიჭებს წინდებს დავუქსოვთ-მეთქი. შენ კი საგოგობიჭო გახადე ეს აბრეშუმივით მატყული.

გოგონას ეწყინა დედის დატუქსვა, ტირილი დაიწყო. დანარჩენები კი ფეხზე წამოვცვივდით და მარიას თითო ბღუჯა მატყული გავუწოდეთ.

— მარია ძალო, დედა არ მომიკვდეს, მამას გეფიცებით, თქვენდან არ აგვიღია, ჯაგებს ავაცალეთ. აი, თუნდა ნახეთ!

მარიამ ბღუჯებს დახედა და დამშვიდდა. მიხვდა, რომ ეს სულ სხვა მატყული იყო. ამაში წვრილ-წვრილი ძეძვის ფოთლები და ხმელი რტოების ნაფშხვენები კიდევ ერია.

მარია ჯერ თავის გოგონას მოეფერა:

— „რა გატირებს, შვილო, ეგრე ვირა სთქვიო“.—მერე ჩვენ მოგვიბრუნდა:—მშვენიერი მატყლია, თუ კიდევ მოიტანთ, იმ მატყლში შევურევთ და უფრო ბევრ წინდას მოვქსოვთო.

რაკი გავიგეთ, რომ ომში წასული ბიჭებისათვის თბილი წინდები 'უნდა დაექსოვათ, მეტი თქმა აღარ დაგვჭირებია. ხანდახან უთენია გავრბოდით ჯაგებისაკენ. ტყის პირამდეც ავდიოდით, იქით კოლმეურნეობის ფარას აატარებდნენ ხოლმე და უფრო ბევრი იყო მატყული. ძლივს-ძლივობით ვაძრობდით ეკლებში ჩატენილ ბღუჯებს, ხელები გვეკაწრებოდა, მაგრამ ამას არაფრად ვაგდებდით. კაბის ჯიბეებს პირთამდე ვიესებდით და მოვარბენინებდით.

მალე მეზობლის ქალებმაც მოიტანეს თავთავიანთი მატყული და მანია ძალოს ოთახში დააგროვეს. საღამოობით იქ მოიყრიდნენ ხოლმე თავს ქალები, ზოგი წეწავდა, ზოგი ართავდა, ზოგიც ქსოვდა, ჩვენ მარტო გვაწეწინებდნენ, თითისტართან და საჩეჩელთან ახლოსაც არ გვიშვებდნენ.

როცა წინდების ქსოვას მორჩნენ, საიდანღაც ფირფიცრის ყუთი მოიტანეს, წინდები შიგ ჩააწყეს, ჩატენეს, მერე ზემოდან მელნით რომელიღაც ქალაქის სახელი, სამხედრო ნაწილისა და ფოსტის ნომერი დააწერეს და წაიღეს.

ყუთი ერთმა ,ქალმა დაიჭირა, ორი ისე გაჰყვა, დანარჩენებმა გზამდე ჩააცილეს ლოცვა-კურთხევით:

„ღმერთო, იგეთი გაგზავნა იყოს, რომ სანამ ეგ ყუთი იქ ჩავა, ომი გათავდეს და ყველა მშვიდობით დაუბრუნდეს თავის სახლ-კარსაო“.

— ნეტამც, ნეტამც,—ბუტბუტებდნენ გზის პირას გამოსული მოხუცები. ჩვენ კი ფოსტამდე გავყევით ქალებს, გვინდოდა გაგვეგო, როგორ გაგზავნიდნენ. ერთი გნიასით მივდევდით, ხან წინიდან მოვუვლიდით, ხან გვერდიდან, ყუთს ხელს ვკიდებდით, თითქოს ვეხმარებოდით წაღებაში.

გვიხაროდა, ძალიან გვიხაროდა, რომ იმ წინდებში ჩვენი მოტანილი მატყლიც ერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნესტორ კალანდარიშვილის დაბადების 100 წლისთავი

ნესტორ კალანდარიშვილი

(1874—1922)

ნესტორ კალანდარიშვილი დაიბადა 1874 წლის 4 აპრილს ოზურგეთის მაზრის სოფ. კვირიკეთში (ამჟამად მახარაძის რ-ნი, სოფ. წითელმთა).

გმირულად დაიღუპა 1922 წლის 6 მარტს იაკუტიის სოფელ ტექტიურთან.

დაკრძალულია ირკუტსკში, კომუნარების მთაზე.

„ოქტომბრის რევოლუცია იყო ის მანათობელი ვარსკვლავი, რომელმაც მიჯაჭვა მთელი ჩემი არსება, მე შევიქერი რევოლუციური ცხოვრების მორევში გადაწყვეტილებით—შემეწირა მთელი ჩემი უნარი, ცოდნა და თვით სიცოცხლეც კი ოქტომბრის მიერ გემოცხადებული ლოზუნგების... განხორციელებისათვის, სხვა არჩევანი მე, ჩემთვის ვერ წარმომედგინა“.

ციმბირის პაპამ ნესტორ კალანდარიშვილმა—მთელი თავისი ლამაზი ცხოვრება ხალხისათვის ბრძოლაში გაატარა. ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის დროს, 1905 წელს, შეჰქმნა თავისუფლებისათვის მებრძოლი რაზმი.

იგი, როგორც სპეტაკი რევოლუციონერი და მედგარი მხედართუფროსი, სამუდამოდ დაუკავშირდა ციმბირის ქალაქ ირკუტსკს, სადაც გადასახლებიდან გაქცეული ჩავიდა. ეს იყო 1908 წელს.

ამ წლიდან მოყოლებული ციმბირში, თავისუფლებისათვის ამ შეუდრეკელმა მებრძოლმა, თავისი რაზმებით 117 ბრძოლა გადაიხადა და თავზარს სცემდა რევოლუციის მტრებს.

ციმბირელ ხალხს უზომოდ უყვარდა თავისი ლეგენდარული გმირი, საკუთარ ღვიძლ შვილად თვლიდა. აკი ამიტომაც შეარქვეს ამ მამაცსა და ბრძენ ადამიანს ციმბირის პაპა.

ვრცელია ჩვენი საბჭოეთი

ვრცელია ჩვენი სამშობლო—საბჭოთა კავშირი,—მას ფართობით დედამიწის მეექვსედი უჭირავს.

ამ ძმურ და ბედნიერ ოჯახში 60-მდე ეროვნების 250 მილიონი კაცი ცხოვრობს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ორმოცდათორმეტი წლის წინათ, 1922 წელს შეიქმნა.

ეს მოხდა ვ. ი. ლენინის თაოსნობით, საბჭოების პირველ საკავშირო ყრილობაზე.

მას აქეთ კარგა ხანი გავიდა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ძმური ოჯახი —საბჭოთა კავშირი—კიდევ უფრო გაძლიერდა და განმტკიცდა. ამ ოჯახში თხუთმეტი წევრია:

1. რსფსრ

რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკა (რსფსრ) შეიქმნა 1917 წლის 7 ნოემბერს. იგი ყველაზე დიდი რესპუბლიკაა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ძმურ ოჯახში: უჭირავს საბჭოთა კაშირის ტერიტორიის სამი მეოთხედი, მოსახლეობა—130 მილიონზე მეტია.

რსფსრ-ში შედის: 12 ავტონომიური რესპუბლიკა, 6 ავტონომიური ოლქი, 6 მხარე, 55 ოლქი, 10 ნაციონალური ოკრუგი. დედაქალაქია—მოსკოვი.

რსფსრ-ში 40 ეროვნება ცხოვრობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქარი

ჟ. ბროდსკი

ეს ვინ აკივლებს
მავთულებს გარეთ?
ვინ აშრიალებს
ხეებს და ყანებს?
ქარი!

ვინ წამოხვეტა
სილა და მტვერი?
ვინ გადახადა
საბძელი ჩვენი?
ქარმა!

ვინ წამოშალა
ტალღები ზღვაზე?
ვინ აზანზარებს
ჩაკეტილ რაზებს?
ქარი!

მაგრამ მასწავლეთ,—
ხომ ხართ დიდები!—
ვერ დამიხატავს
ვერასდიდებით
ქარი!

თოლიები

ვ. ბერესპოვი

— თოლიებო, თოლიებო,
რომელია თქვენი სახლი?
დედამიწა?
ღრუჯი ზეცა?
თუ ზღვა, —
კდეეს რომ ტაღღებს ახლის?

— ჯერ მიწაზე ვიბადებით,
რომ გავხდებით დიდები,
ხან ზეცაში ვიფანტებით,
ცაზე დავეკიდებით;
ხან ტაღღებში ვიკარგებით,
ვბანაობთ და ვგრიდებით.

— ყველგან სახლი როგორა გაქვთ?
რა გცოდნიათ თოლიებს!
— ყველგან ჩვენი სახლი არის,
ყველგან თავს ვიყოლიებთ.

თარგმნა **იორამ ქემერგელიძემ**

ნახატები **გიორგი როინიშვილისა**

ალხანა და ჩალხანა

ოთარ ჭელიძე

ნახატები ზურაბ ქაპანაძისა

პოემა

თავი პირველი

შეგახსენებთ: ალხანა
ისე ჰგავდა ჩალხანას,
როგორც ყვავის ბახალა
ჰგავს მეორე ბახალას.
მეტსახელით ვიდოდა
ეს ორი მეგობარი;
ერთი იყო ოთარი,
მეორე კი ნოდარი,
მაგრამ არვის ახსოვდა
მათ თავიდან რა ერქვათ;
ალხანა და ჩალხანა
შეარქვეს და, რა ექნათ?
„ოთარი“ და „ნოდარი“
წაიშალა მათ თავში,
სახელები საბუთად
დარჩათ საბჭოს დავთარში.

ერთ უბანში ცხოვრობდნენ
ერთგული მეზობლები,
ფეხით ჰქონდათ მოვლილი
ახლომახლო სოფლები.
ხან დედას გაჰყვებოდნენ,
ხან მამას და ხან ბიძებს,
დიდებივით იცნობდნენ
პატარა ძმადნაფიცებს.

ალხანა და ჩალხანა
როდესაც გავიცანი,—
მთის სოფელში ცხოვრობდნენ,
იყვნენ ერთი ხნისანი,
ესე იგი, ორთავე
ერთად იყო ათი წლის,
მაგრამ კარგად იცოდნენ
ყადრი სტუმარ-მასპინძლის.
ჭყუტა მსხალი, ტყის თხილი,
მაჟალო და მწვანილი,
სტუმარს არ მომკლებია
მათი შემოტანილი.
მაშინ იმათ კუთხეში
ელნათურა არ ენთო,
მთის პატარა სამ სოფელს
სკოლა ჰქონდა საერთო.
ურიამულით ბავშვები
როცა რბოდნენ მეზობლად,
ორი მცირეწლოვანი
ჩუმად ქვრეტდა ეზოდან,
მათი გულისტკივილი
უსიტყვოდაც მესმოდა.
ონავარი ბიჭები
როგორ უნდა გამერთო?
დავმეგობრდით, ვერ ვძლებდით
დიდხანს უერთმანეთოდ.
როცა მესტუმრებოდა
სალამოთი ის ორი,
მათი კინო მე გახლდით,
მათი ტელევიზორი.
მათი წიგნი, რადიო,
„პიონერიც“ და „დილაც“,
თავისთავად ცხადია,—
მე ვიყავი ნამდვილად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

19 მაისი ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის დაბადების დღეა.

კონცერტი სოფლის კლუბში

გურამ ბახტაძე

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა. მთელ სოფელს სწვდებოდა დოლისა და საყვირის ხმა. ისმოდა გოგო-ბიჭების მჭექარე სიმღერა:—გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურის პიონერები საღამო-წარმოდგენაზე იწვევდნენ უფროსებს. ღელავდნენ ბავშვები. კომკავშირელების დახმარებით მოამზადეს ინსცენირება, ცოცხალი გაზეთი, სიმღერები და ცეკვები.

კომკავშირელი თამრიკო ღიმილით ყიდდა ბილეთებს. მთელი თანხა პიონერებმა საზღვარგარეთის ციხეებში გამომწყვდეული რევოლუციონერების დასახმარებელ ფონდში შეიტანეს.

— ყოჩაღ, ბავშვებო!—უთხრეს ყმაწვილებს თბილისიდან ჩამოსულმა სტუმრებმა და კალაურელ პიონერებს საზეიმოდ გადასცეს წითელი ალამი. ალამზე ლენინის სახე იყო აღბეჭდილი და ასე ეწერა: „პიონერი ახალი ცხოვრების ნორჩი მშენებელია“.

მინდა მათთან შეხვედრის
ჟამი დავათარიღო:
მაშინ არც მე ვიცოდი
ტრანზისტორი რა იყო.
ის დრო იდგა, მსოფლიოს
რომ აუწყა მოსკოვმა—
მტრის საკუთარ ბუნაგში
გაუუფვა და მოსპობა.
მაშინ ჩემი მეგობრის
სოფლად ნახვა მომინდა,
ვინც დაჭრილი დაბრუნდა
სამამულო ომიდან.
ერთ დღეს სტუმრად ვეწვიე
ჩემი ყრმობის ამხანაგს;
სწორედ მასთან გავეცან
ალხანას და ჩალხანას.
მეგობრები ასაკით
ერთად იყვნენ ათი წლის,
მაგრამ კარგად ახსოვდათ
ყადრი სტუმარ-მასპინძლის.
მათ იცოდნენ—მეზობელს
რა სტკიოდა, რა სჭირდა;



„წითელი ქარავანი“

1922 წლის შემოდგომის ერთ მზიან დილას ურმების გრძელი ქარავანი გაემართა ჩოხატაურიდან სამტრედიის რკინიგზის სადგურისაკენ. ტომრები სიმინდით იყო სავსე. ქართველმა ახალგაზრდებმა დახმარების ძმური ხელი გაუწოდეს ვოლგისპირეთის მოსახლეობას. გვალვისაგან დაზარალებულ მხარეში გასაგზავნ სიმინდს პიონერებიც აგროვებდნენ. ეს რომ ოქტომბრელებმა დაინახეს, შინიდან პატარ-პატარა ტომრები გამოარბენინეს, ეზო-ეზო ჩამოიარეს და სიმინდით აავსეს.

ერთ დიდ ტომარაში რომ მოუყარეს თავი სიმინდს, ისეთი მძიმე გამოდგა, პატარებმა ვერც კი ასწიეს,—კომკავშირელები მიეხმარნენ და ურემზე დადეს.

კალათებით მოქონდათ
მოსაკითხი დაჭრილთან,
მაგრამ ტკბილი ყველაზე,
განა მწიფე ტკის ხილი,
მათი სტუმრობა იყო,
მათი წმინდა ღიმილი.
დღიდან მათი ნახვისა
გაიარა რა ხანმა!
მინდა ბავშვებს გაგაცნოთ
ალხანა და ჩალხანა.
მინდა ყველამ იცოდეს
მათ რა გზებით იარეს,
მეგობართა წილ-ხვედრი
როგორ გაიზიარეს,
რა ისწავლეს, რა ნახეს,
ქვეყნად რა გაიოცეს
ან რა ემუქრებოდა
მათ უმწიკვლო სიცოცხლეს,
რომელ ქალაქს ესტუმრნენ,
რომელ ახალ ქარხანას...
მე გზადაგზა გაგაცნობთ
ალხანას და ჩალხანას.

(გაგრძელება იქნება)

შეხვედრა

გიორგი პაკიაშვილი ნახატები ოთარ მესხისა

ორსართულიანი კუთხის სახლიდან დროგამოშვებით მტერი ტყვიამფრქვევის გაძლიერებულ ცეცხლს გვიშენდა...

— აღმოაჩინეთ ტყვიამფრქვევი და მოსპეთ!—მიბრძანა მეთაურმა.

გავხოხდი... ყველაფერი კარგად მიდიოდა, ის იყო, სახლამდეც მივაღწიე და, ტყვიამფრქვევის წვიმა წამოვიდა! ჯერ სუნთქვა შევწყვიტე, გავირინდე, მერე ძალა მოვიკრიბე, თვალის დახამხამებაში წამოვიჭერი და სადარბაზოში შევვარდი.

— მოეფარე, გიმიზნებს!—იყვირა ვიღაც ბიჭმა.

შემოვტრიალდი და ავტომატის ჯერი მივუშვი სვასტიკიან ჯარისკაცს, პისტოლეტი რომ მოემარჯვებინა ჩემს მოსაკლავად.

მალე მეგობრებიც წამომეშველნენ და მტრის ტყვიამფრქვევიც ჩავაჩუმეთ.

შენობიდან რომ გამოვდიოდი, ასასვლელი კიბის გვერდით, ჩაბნელებული კუთხიდან, ფეხშიშველა, გამხდარი, დაძონძილი ბიჭი გამოძვრა.

— შენ იყავი, რომ გადამარჩინე?

— მე ვიყავი, ბიძია!

— შენ რომ არა, ცუდად იყო ჩემი საქმე! რა გქვია?

— ვოვა!

— გვარი?

— ობიდინი!

ახალგაცნობილი პატარა მეგობარი, რომლისთვისაც ფაშისტებს მშობლები დაეხოცათ, კომპასით დავასაჩუქრე, ცოტა შაქარი, პური და ძეხვი მივეცი; ვინ იცის, იქნებ კიდეც შევხვდეთ-მეთქი და ჩემი მისამართიც დავუწერე ქაღალდის ნახევზე.

დავამარცხეთ ფაშისტური გერმანია. შინ რომ დავბრუნდი, ხშირად ვიგონებდი ჩემს მხსნელ პატარა ვოვკას, მაგრამ, ვინ იცის, სად იყო, როგორ მომეძებნა?..

გაზაფხულის მშვენიერი საღამო იდგა, ჩვეულებრივ, ეზოში, მეზობლებში ვიჯექი და მათ საუბარს ვუსმენდი. ვიღაც წარმოსადეგი, ზორბა ახალგაზრდა ჯარისკაცი მოგვიახლოვდა, მოგვესალმა და რაღაცის კითხვა დააპირა. მერე მე გამიღიმა.

— ვინ გნებავთ?—შევეკითხე დაბნეული...

— თქვენ!—ისევ ღიმილით მიპასუხა ჯარისკაცმა.

— მე?!

— დიახ,—ჯიბიდან რაღაც ამოიღო და გამომიწოდა,—აი, ამ კომპასით გიპოვეთ...

— ვოვკა!

— ბიძია გიორგი!

ცოტა ხნის შემდეგ მეზობლური სუფრაც გაიშალა და მალე ყველა მეზობელმა იცოდა, თუ როგორ გადამარჩინა პატარა, ფეხშიშველა ობოლმა ბიჭმა, კიბის ქვეშ რომ იყო შემალული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როდიონ ქორქია



ბავშვებო! თქვენს საყვარელ მწერალს როდიონ ქორქიას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ვის არ წაგიკითხავთ მისი მოთხრობები: „მარილის აკვანში“, „სამი ბიჭის ამბავი“, წიგნი — „კარგი ამხანაგი“, რომელიც საგანგებოდ თქვენთვის დაწერა დიდ ბელადზე — ვ. ი. ლენინზე.

ვალმოხდილი მწერალი საბჭოთა მთავრობამ თავისი დაბადების 80 წლის თავზე „საპატიო ნიშნის“ ორდენით დააჯილდოვა.

ჟურნალ „დილის“ რედაქცია თქვენთან ერთად ულოცავს საყვარელ მწერალს დაბადების დღეს, უსურვებს მას ხანგრძლივ სიცოცხლეს, რათა კვლავ ბევრჯერ გაეხარებინოს თქვენი გული.

ყანჩა

როდიონ ქორქია

ნახატი **ვაჟა დათებაშვილისა**

ყანჩას უყვარს თევზი: ჩადგება წყალში, აიკეცავს ცალ ფეხს და უთვალთვალებს.

— რატომაა, რომ ყანჩა ცალფეხზე დგას და ისე ნადირობს?—ჰკითხა სიკომ მამას.

— იმიტომ, შვილო, ორივე ფეხი თუ აიკეკეცა, წყალში ჩავარდება,—გაეხუმრა მამა.

ორი ჭიანჭველა

ბიძინა მინდაძე

უღამაზეს ბათუმის პორტს
აღბათ, იცნობს ყველა.
იქ ტვირთავდა გემებს ერთ დროს
ორი ჭიანჭველა.
განა ერთხელ, განა ორჯერ,
დაუტვირთავთ გემი...
შოკოლადის გორა დადგეს,
და ნაყინის მთები.
აი, ახლაც ბავშვებისთვის
გემზე ააქვთ ზურგით
გაბერილი ბეჰემოტი,
გასაბერი ბურთი,
პლასტიკინი საძერწავი,
სახატავი ტილო,
გუდაპერჩის მაიმუნი,
კაუჩუკის სპილო,
აღბომები, რვეულები,
წიგნი—ოცი ტომი,
სათამაშო სირაქლემა
და ნამდვილი ლომი.
მაგრამ თურმე იგი ლომი
ავი იყო ძაღიან.
ტორის ერთი მოქნევით
გაანგრია გაღია.
გამოვარდა გემბანზე,
გაეშალა ფაფარი,
იღრიალა საზარლად:
— კაპიტანი სად არის?!
გემზე, მოგეხსენებათ,
ატყდა დავიდარაბა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატები **თამაზ ხუციშვილისა**

ვინ ტრიუმში ჩაძვრა და,
ვინ ანძაზე ავარდა.
თუთიყუშმა კივილით
ცაში შეჰკრა კამარა.
სირაქლემამ დამფრთხალმა
თავი ფრთის ქვეშ დამალა.
ხალხმრავალი გემბანი
ერთბაშად დაიცალა.
ორმა ჰიანჰვეღამ კი
ფეხიც არ მოიცვალა.
გადაუდგნენ გზაზე ღომს
და ვით შვენის მეომრებს,
ერთი ფაფარს ჩაეჭიდა,
კუდზე აძვრა მეორე.
გაიქეცი უკან ჩქარა,
ნახე შენი საფარი,
თუ არ გინდათ კუდი მოგჭრათ,
შეგიკრიჭოთ ფაფარი.
დაფრთხა ღომი, გაღიისკენ
გაძუნძულდა ქურდივით.
კაპიტანმაც გადაიცვა
საზეიმო მუნდირი
და ჩაკეტა იმ გაღიის
რკინის კარი საკეტით,
მერე მამაც ჰიანჰვეღებს
გაუმართა ბანკეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაჩვეულებრივი სინათლე

რევაზ ინანიშვილი

ნახატი **რევაზ სუფჭირიძისა**

ჩვენი სამდინარეო გემი „ქიროურგი ვიშნევსკი“ ვოლგა-დონის არხის რაბებში მიცურავდა. მშვენიერი საღამო იყო, მზის ჩასვლა; მგზავრები კაიუტებიდან გარეთ გამოფენილიყვნენ და ადამიანის ხელით გაკეთებულ ზღაპრული ნაგებობის მუშაობას ადევნებდნენ თვალს.

აი, რა ხდებოდა ამ ნაგებობებში: გემი უზარმაზარ ღია ალაყაფში შევიდოდა და რაბის კედელს ფერდით მიადგებოდა. იუნგები, ყმაწვილი მეზღვაურები, კედელში ჩატანებულ ვენა ტიტიტივა ბოკონებს მსხვილ თოკებს მოსდებდნენ და გემს ზედ მიაბამდნენ. გემის უკან ღია ალაყაფი ნელ-ნელა, უხმაუროდ ჩაიკეტებოდა. აიწევდა წყლის დონე, ასწევდა გემსაც და როცა მომდევნო რაბის წყლის დონეს გაუთანაბრდებოდა, ალაყაფი ახლა წინ გაიღებოდა, ბოკონებიდან მოხსნილი გემი იმ რაბში შეცურდებოდა და იქ ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა ალაყაფის დაკეტვაც, წყლის შემოკრაც და გემის ზემ-ზემოთ აწევაც.

გემზე, ჩვენს გარდა, უცხოელი ტურისტებიც იყვნენ: გერმანელები, უნგრელები, ფრანგები. იმათაც სტალინგრადი დაეთვალიერებინათ, ნაომარ ქალაქს ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დაეტოვებინა და ჯერაც ისევ დადარდიანებულები გამოიყურებოდნენ.

მეოთხე რაბში რომ შევდიოდით, გემზე უჩვეულო ჩოჩქოლი ატყდა. ყველანი წინ გარბოდნენ, ყველანი წყალში იყურებოდნენ. იქ თურმე თეთრი მტრედი ჩავარდნილიყო და იღრჩობოდა.

საბრალო ფრინველი! ფრთებათახთახებული, აყელყელავებული, პირდაღებული ებრძოდა რაბში შემოკრილ ბობოქარი წყლის თუხთუხა ტალღებს, მაგრამ ვერაფერს ხდებოდა, ტალღები ნაპირთან მისვლის საშუალებას არ აძლევდნენ. თუნდაც მისულიყო, ბეტონის ათმეტრიან გალიპულ კედელზე რა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფეხის მოსაკიდს იპოვიდა. დაიღალა, ძალა მთლად გამოელია, მარტო სასოწარკვეთილ თავსღა სწევდა მაღლა, ყლაპავდა და ყლაპავდა წყალს, ტალღები ხან აქეთ მიაგდებდნენ, ხან იქით.

— უშველეთ! გადაარჩინეთ! — იძახდნენ მრავალ ენაზე. გარბოდნენ, გამორბოდნენ. ეფეთებოდნენ ქალების ცრემლიან თვალებს.

და აი, აქ, ამ ჩოჩქოლში დამამშვიდებლად გაისმა კაპიტნის ხმა:

— იუნგებო!—იგი რუპორით ლაპარაკობდა,—ყველაფერი იღონეთ, რომ მტრედი არ დაიღრჩოს!

იუნგები გაცვივ-გამოცვივდნენ, გრძელი ჭოკი მოარბენინეს, ერთ იუნგას მხრებზე თოკი მოსდეს, ბეჭებზე გადაუჯვარედინეს, მეზღვაურული ყულფით შეკრეს, გემის მოაჯირს იქით გადაუშვეს და ჭოკი მიაწოდეს. იუნგა ჰაერში წაიზიდა (ჩამოვარდა სიჩუმე), მიუშვეს თოკით, ისევ წაიზიდა (ახლა თოკი მრავალ ხელს ეჭირა), მიაწვდინა ჭოკის წვერი უკვე მთლად დარსებულ მტრედამდე, მოაცურა გემთან, ჩაეკიდა ძირს და ამოიყვანა.

ხალხში შვების ამოძახილმა იფეთქა, უმეტესობამ ტაშიც კი შემოჰკრა. ყველას უნდოდა, გადარჩენილი მტრედი ახლოდან ენახა, ყველანი იუნგებს მიეხვივნენ. მაგრამ მტრედი უკვე იუნგებს აღარ ჰყავდათ. ის ლამაზ, გახარებულ ფრანგ ქალიშვილს ეჭირა, ლოყაზე იხუტებდა და თითქოს შემინებულისს ულოცავდა, რაღაცეებს ეჩურჩულებოდა. როცა ჩურჩულს მორჩა, საკინძე ვაიხსნა. მტრედი უბეში ჩაისვა, ზემოდან სასოებით დააფარა გამხდარი, გრძელთითებიანი ხელები. მიმოიხედა და გალიმებულმა დაიძახა:

— ვივ ლავი (გაუმარჯოს სიცოცხლეს)!

— ვივ ლე კაპიტენ! (გაუმარჯოს კაპიტანს)!

ფრანგები, გერმანელებიც, უნგრელებიც, რუსებიც და ქართველებიც განათებული იყვნენ არაჩვეულებრივი სინათლით, ამ სინათლეში ყველანი ძალიან ლამაზები ჩანდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაგსვლელი ჯიპი



გაკვეთილი მესამე

შოთა ინწკირველი

თამაშს თეთრები იწყებენ, ესე იგი, პირველ სვლას თეთრი ფიგურები აკეთებენ. მერე—შავები, მერე—ისევ თეთრები და ასე შემდეგ...

ახლა ვნახოთ, თუ რომელი ფიგურა როგორ მოძრაობს.



ეჯლი— (დიაგრამა № 1)

ეტლი მოძრაობს სწორხაზოვნად—ჰორიზონტალებსა და ვერტიკალებზე—ნებისმიერად ერთ ან რამდენიმე უჯრაზე (ერთბაშად): მხოლოდ არ შეუძლია გადაახტეს რომელიმე ფიგურას. მოწინააღმდეგის ფიგურის აყვანისას (მოკვლისას), ეტლი იკავებს მის ადგილს (ეს წესი ვრცელდება ყველა დანარჩენ ფიგურებზეც).

კუ— (დიაგრამა № 2)

კუ მოძრაობს ირიბად ანუ დიაგონალზე—ნებისმიერად, ერთ ან რამდენიმე უჯრაზე (ერთბაშად). თეთრ დიაგონალზე რომ კუ მოძრაობს,—თეთრუჯრედოვანი ეწოდება, შავ დიაგონალზე რომ მოძრაობს—შავუჯრედოვანი.

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲨᲣᲑᲚᲐᲫᲔ

ᲬᲐᲠᲫᲐᲪᲜ ᲑᲐᲠᲘ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲓᲐᲠᲩᲐ,
ᲖᲔᲓ ᲐᲬᲕᲘᲛᲐ, ᲐᲗᲝᲯᲐ,
ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔ ᲛᲝᲬᲘᲛᲘᲐ,
ᲒᲔᲚᲓᲐᲠ ᲘᲪᲜᲝ...
ᲠᲐᲢᲝᲛ?
Ა?!

ᲠᲔᲑᲣᲡᲘ



ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲚᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲛ ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ.



ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲘ

ᲨᲔᲐᲕᲡᲔᲗ ᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲣᲯᲠᲔᲓᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲐᲚᲘᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲔᲑᲘᲗ.

ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ Ქ. ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲨ. ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲛ ᲪᲘᲠᲐ ᲗᲐᲕᲨᲐᲕᲐᲫᲔᲛ.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲣᲨᲠᲐᲜ ᲛᲐᲓᲐᲒᲐᲡᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ: ᲙᲣᲯᲣᲩᲘ ᲒᲝᲜᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲚᲔᲚᲐ ᲓᲘᲠᲐᲫᲔ, ᲛᲐᲓᲐᲡᲘᲜ ᲛᲘᲥᲐᲕᲚᲘᲫᲔ, ᲯᲘᲛᲨᲔᲠ ᲛᲣᲯᲘᲠᲘ, ᲘᲝᲡᲔᲑ ᲥᲔᲛᲣᲠᲗᲔᲚᲘᲫᲔ (ᲐᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲓᲒᲘᲠᲔ), ᲨᲐᲚᲕᲐ ᲪᲘᲪᲘᲐᲜᲘ (ᲡᲐᲛᲮ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ), ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲠᲘ ᲚᲐᲠᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲑᲘᲜᲘ ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲥ. ᲙᲐ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲚᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥ. ᲐᲚᲐᲪ ᲪᲙ-ᲘᲡᲐ ᲓᲐ Გ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲤᲣᲠᲜᲐᲚᲘ. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 47-Ე ᲬᲚᲘᲡ.

ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ ᲗᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲐᲫᲘᲡᲐ.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ⓑ. ᲠᲝᲚᲘᲜᲘᲫᲔ

Издательство ЦК КП Грузии

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ, ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲡᲢᲐᲑᲘᲡ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ, 14. ᲢᲔᲚ.: 3ᲛᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ — 93-41-30, 93-98-15; 3/3Ა ᲛᲓᲒᲘᲠᲘ — 93-10-32, 93-98-17; ᲡᲐᲛᲮ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ — 93-98-18; ᲒᲐᲜᲧᲝᲤ. — 93-98-19; ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡᲘ — 93-98-16.

ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲬᲐᲛᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 18/II-74 Წ., ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲡᲑᲔᲭᲓᲐᲓ 15/IV-74 Წ., ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘᲡ ᲖᲝᲛᲐ 60×90 1/16 [illegible] 150,700 [illegible] ᲤᲐᲡᲘ 20 [illegible]

76055

6 130/92





„ბუ“—ნახ. გიგა ხეურგასი, 5 წ. თბილისი.

„ბიელარი“—ნახ. დავით ნანეგასი, 6 წ. ზუგდიდი.

„ბზიანი დღე“ ნახ. ზურაბ ბერიაშვილისა, 6 წ. თბილისი.

„ფრიკა“—ნახ. ლიკა ფურაძისა, 7 წ. ქ. ხაირობი. კენიის რეპუბლიკა.

„მოტოშეჯიბრი“—ნახ. უშანგი ობოლაძისა, 8 წ. თბილისი.

„მე და ჩემი ძმა“—ნახ. ნინო არსენიშვილისა, 6 წ. თბილ

„წარმოდგენა“—ნახ. მერაბ ჯაფარიძისა, 8 წ. თბილისი.